ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3938243

ნომერი: AR1595904

თარიღი : 26.04.2018

გაცემის თარიღი : 04.05.2018

გაცნობის თარიღი : 04.05.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დაბა წყნეთი , ქუჩა ნუშის ბაღების , N 13;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამარა ტიფანი პ/ნ 01097000398
- ფუნიკულიორის ზემო პლატო

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- III კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : №272093
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 19.07.2012

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პასუხად გაცნობებთ:

იმ შემთხვევაში თუ ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი აქვს შპს „სან სიტს“ საჭიროა წარმოდგენილ იქნეს განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი ვასილ ცოტაძის მიერ განმცხადებლის სახელზე გაცემული მინდობილობა ან ვასილ ცოტაძე დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად. საჭიროა წამოდგენილ იქნეს საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ყადაღის საფუძველი და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი მხარის თანხმობა განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე.

როგორც წარმოდგენილი ზედამხედველობის აქტით ირკვევა, სადარბაზოში და ბინებში შესასვლელი კარის ღიობები შესავსებია, ტერიტორიის კეთილმოწყობა დასასრულებელია. საჭიროა დაასრულოთ ზემოაღნიშნული სამუშაოები და შეიტანოთ ცვლილება ზედამხედველობის სამსახურის მიერ გაცემულ აქტში. გარდა ამისა ირკვევა, რომ ღობის ნაწილი გასულია წითელი ხაზების გარეთ. შესაბამისად წარმოსადგენია ზედამხედველობის სამსახურის მიერ ბეჭდით დამოწმებული ანაზომი ნახაზები.
დამატებით წარმოსადგენია საექსპერტო შეფასება სამშენებლო დოკუმენტის დარღვევით წარმოებული მშენებლობის შესახებ;

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.